დროება

გამოდის კვირაში სამჯერ

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, უორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა — 8 მან; ნახევარის წლისა — 4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, უორლანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრების ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

საქართველო

თფილისი, 16 იანვარს

ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენი მემამულეები ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ერთი ქალაქლდის თაობაზე, რომელიც იმათ უეზდის უფროსისაგან მოუვიდათ. საქმე იმაშია, რომ მმართებლობას განზრახვა აქვს, 1877 წლიდამ დაადგას გადასახადი ჩვენი თავად-აზნაურობის იმ მიწებსა და ტყეებს, რომელნიც იმათ ნაყმევ გლეხებს არა აქვსთ მიცემული.

ამ ახალი განკარგულების მიზანი ის არისო, სწერია ქალაქლდში, რომ უფროსთანასწორი და სამართლიანი საერო გადასახადი იყვეს ყველა წოდებისთვისო.

უეზდის უფროსის მიწერილობაში მოხსენებული იყო, რომ მემამულებს წარედგინათ ანგარიში — თუ რამდენი და როგორი დღიური მიწა და ტყე აქვსთ; და ვინც ამ მოწერილობას ბეჯითად არ აასრულებს, ე. ი. ნამდვილ მიწაზე ან ტყეზე ნაკლებს უჩვენებს, იმას ამ გამოკლებულ მიწებზე და ტყეზე ერთი-ორად გადახდება ხარჯიო.

ეს ცნობები ჩვენს მემამულეების წარსული წლის დამლევისათვის უნდა წარედგინათ.

ჩვენ არ ვიცით ამჟამად — ყველა მემამულეებმა წარადგინეს თუ არა. მაგრამ ამის თქმა კი ახლაც შეგვიძლიან, რომ ნამდვილი ცნობების წარდგენა იმ მემამულეებს, რომლების მამულები ჯერ კიდევ გამიჯნული არ არის, რასაკვირველია, რომ არ შეეძლოთ.

„თფილისის მოამბის“ ამ წლის მესამე ნომერში ერთი გორელი მემამულის პასუხია დაბეჭდილი, რომელიც ამ საგნის თაობაზე აბმობს, რომ რათ უნდა გადაგეხდეს ჩვენ იჯარა მისთვის, რომ სწორეთ ვერ წარუდგინოთ ანგარიში ჩვენი მამულებისაო, რომლებიც ეს მამულები ჯერ კიდევ გამიჯნული არ არისო,—და ეს ხომ ჩვენი ბრალი არ არისო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: გორელი მემამულე თვით ამ განკარგულების საფუძვლის თაობაზედაც ლაპარაკობს. „ის ამბობს, რომ თავად-აზნაურობის მამული და საზოგადოთ საკუთრება იმდენათ არ არის დაფარული არც გლეხებისა და არც თავისივე მეზობლების თავად-აზნაურობის თვით მნებლობისაგან და არც თვით მომრიგებელი მოსამართლის მხრით, რომ კანონიერი გადასახადის დადება შეიძლებოდესო.

ამის გამო უფ. გორელი მემამულე ამბობს, რომ ეს საყოველთაო საერო გადასახადის დაწესება მხოლოდ მაშინ იქნება კანონიერი და სამართლიანი, როდესაც ყველა წოდებისათვის იქნება აგრეთვე დაწესებული სოფლის სასამართლოები, მომრიგებელი მოსამართლეების ამორჩევა, ნაფიცთა სასამართლო და სამხედრო გადასახადიო (ე. ი. როდესაც ჩვენშიაც ყველა წოდებას გაიწვევენ სალდათათაო).

სრულიად თანაუგრძნობთ უფ. გორელ მემამულეს ყველა ზემოთქმულ მოსაზრებაში — გარდა ერთისა:

მართალი უნდა გითხრათ, ვერ გაგვიგია უფ. მემამულეს სიტყვები, რომ საყოველთაო სამხედრო გადასახადი, სხვა არა იყოს რა, იმით მაინც იქნება ჩვენი მხრისთვის სასარგებლოო, რომ მოაშორებს ჩვენს ქვეყანას იმ ახალგაზდა, მუქთ-მჭამელ ნაწილს მცხოვრებლებისას, რომელნიც ეხლა მხოლოთ თვით-მნებელობაში, ძალადობაში და უწესოებაში ჰპოულობენ სიცოცხლის წყაროსაო.

უეჭველია, როგორც ყველგან, ჩვენშიაც მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც ცხოვრება რიგიანათ არ არის წამართული, მაგრამ ნუთუ ამ გვარი ხალხის მოსარჯულებელად და სასარგებლო გზაზე დასაყენებელად მართლა ყურადღებაში მისაღებია ის საშუალება, ე. ი. სალდათად მიცემა ამ ახალგაზდობისა? ნუ თუ ეს გაასწორებს იმას, ვისიც ცხოვრება მრუდე გზაზე წარსულა?

განა, მართლა, ამგვარი ხალხი უშლის ჩვენს თავად-აზნაურობას და მეურნეობას წარმატებასა?

ს. მესხი

დღიური

□ იმ სხდომაში, რომელიც რუსეთის წარმოებისა და ვაჭრობის შემწეველ საზოგადოებას ჰქონია 18 დეკემბერს პეტერბურღში, სხვათა შორის გადაუწყვეტიათ, რომ დიდს მთავარს ალექსანდრე ნამესტნიკს წერილი გაუგზავნოთ და მადლობა უძღვნათ იმ შემწეობისათვის, რომელიც იმან რუსეთის ვაჭრობას გაუწია კავკასიაშიო.

□ ჩვენ გვითხრეს, რომ ვითომც ჭუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს ეთხოვნოსთ ახალი ლუბერნატორისთვის, რომ რადგანაც იმერეთის ბანკის წესდება ცოტათი განსხვავდება ნორმალური წესდებისაგან და მაშა სადამე სახელმწიფო რჩევაში წარდგენა დასჭირდება, კანონმდებლობითი წესით განსახილველად და ეს ბევრს დროს მოითხოვს, ამის გამო გეშუამდგომლეთ დიდს მთავარს კავკასიის ნამესტნიკთანო, რომ თავის უმაღლესი შემწეობა არ მოგვაკლოს ამ საქმის დაჩქარებაშიო.

ამას გარდა ჭუთაისის ბანკის წესდების თაობაზე გავიგონეთ კიდევ, რომ ეს წესდება ჯერ კავკასიის კომიტეტშია, სახელმწიფო რჩევაში არ არის გადაცემულიო.

□ ზოგიერთები გვთხოვენ ვაცნობოთ — თუ რა მდგომარეობაშია რკინის გზის შტოს გაყვანა ჭუთაისის სტანციიდამ ქ. ჭუთაისამდი, რომლის გაკეთებაზე ეს მესამე წელიწადი თავდება რაც ბრძანება.

ამის თაობაზე ამჟამად ჩვენ მხოლოთ იმის თქმა შეგვიძლიან, რომ გამოკვლევა დიდი ხანია მოხდენილია, მაგრამ გზის კეთებას რიგის შეუდგებიან — ამის კი რა მოგახსენოთ....

□ ჭუთაისიდამ მოგვიწერეს ამბავი, რომ, თ. ი. ლ — ის თაოსნობით, იქ ქართული ტიპოგრაფიის გამართვას

ფელტონი

ხასიათები

სტატია მესამე

რაც იმერლებზედ ითქვა, ისიც ითქმის მეგრელებზედაც, ცოტა რამ დამატებით.

მეგრელი უფრო წვლილმან საქმეებს ჰკიდებს ხელს ვიდრე იმერელი.

იმერელზედ მომეტებული გულისყური აქვს, მაგრამ „სიბრძნის ზღვაში“ კი ისე ვერ მოსცურავს, როგორც იმერელი.

მეგრელი ხელოსანია და ვაჭრულის მიდრეკილების, ასე რომ ოდესმე, როგორც ყოველ-გვარი სახელოვნო და სახელოსნო რამეები, ისე ვაჭრობაც მეგრელების ხელში იქნება.... სომხებს ალარას გაატანებენ, რადგანაც მათ სომხურ თვისებაებთან თვისიც შეერთებული აქვსთ: სომხურ თავიანობას, ანგარიშის ცოდნას, გროშის დევნას და ძუნწობას, უმატებენ თავიანთ მეგრულ ღირსებაებსაც: მაღალს ნიჭს, გამბედაობას, სიმარდეს და სხ....

×

რაც შეეხება დღევანდელს მათ სიცრუეს, მეგრელი ისე არ ბაქიობს როგორც ქართველი და არც ისე განზრახვით აქტიორულად იტყუება, როგორც იმერელი. აღტაცებაში მომყვანი ბუნება სამეგრელოსი, მეგრელს პოეტიკურად ჩაესახა გვამში და ის ისე არას იტყვის, რომ აღტაცებულად არა სთქვას და ცოტაც არის არ გაათამაშოს თავის ფანტაზია.

ამბავს რომ მოჰყვება, მაშინ იმას კი არ გიხატავს რაც თავის თვალით ნახა, არა, იმას რაც უნდოდა ენახა და ან რაც შეიძლებოდა რომ ენახა. მოჰყვება ტკბილ-ქართულად მშვენიერ მოთხრობას, ასე რომ იმ დროს, როდესაც ის ლაპარაკობს და თქვენც შეჩერებიხართ, სასიამოვნოთ გირჩებათ, მაგრამ ბოლოს, როდესაც მოშორდები და მოიგონებ მის ნაუბარს, მაშინ კი მიხვდებით და იტყვით: რა ილაპარაკა ამ კაცმაო და სხ....

×

თუ მოტყუება უნდა ვისმესი საქმეში, ის ისე ვერ ახერხებს, როგორც იმერელი; მაშინვე ატყობ, რომ მოტყუებას გიპირებსთ, თვითონაც კი იცის რომ შეატყეთ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის და ყელ-გამოწვევით გეხვეწებათ დამიჯერეო; მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ გაუჭირველათ არ სცდილობს არაფის მოტყუებას და გაჭირვებას კი რაღა გაეწყობა!... რაც შეეხება ნათესაობას და მეგობრობას, განსაკუთრებით მეგობრობა მეგრელებმა ძრიელ იციან: მოყვრისათვის თავს გასწირავს და არც დაინანებს, და ამ თვისებით მეგრელები დღესაც სჯობიან იმერლებსა.—

ერთის სიტყვით, დღეს იმერლებზედაც უფრო გაავზნიანებული მეგრელები, იმაეე მიზეზით რითაც ი-

აპირებენ. ეს ტიპოგრაფია, როგორც გავიგონეთ, მხოლოთ ძველი ქართული წიგნების დასაბეჭდავად იმართება.

რაღა თქმა უნდა, რომ აზრი ყოველად კარგი და პატიოსანია, თუ სისრულეში მოყვანა მოახერხეს....

□ ჭართლიდამ იწერებიან „სასოფლო გაზეთში“, რომ ახალი მოხელეების ამორჩევა სოფლებში გაუთავებიათ და თითქმის ყველგან ამ თანამდებობაზე ახალგაზდა, წერა-კითხვის მცოდნე კაცები ამოურჩევიათ.

□ ამ გაზეთშივე სწერენ თელავიდამ და ბორიდამ, რომ შარშან და წელსაც ამ უეზდებში ძალიან ერთგულად შეუდგნენ სასოფლო გზების კეთებასაო.

□ წარსულ კვირას, სიონის სობოროში, არხიმანდრიტი მ. გესსარიონი (დადიანი) იმერეთის ეკარათ და სამეგრელოს ეპისკოპოსათ აკურთხეს.

□ ჭუთაისიდამ მოგვიწერდა ამბავი, რომ წარსულ კვირას იქაურ სააზნაურო სახლში ქართული წარმოდგენა ყოფილა. მოლიერის კომედია „სკაპენის ცულლუტობა“ (აკ. წერეთლისაგან მშვენიერად ნათარგმნი) და „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა ულელი ხარი ვერ გააჩერებსო“ (თ. რაფიელ ერისთვისა) წარმოუდგენიათ. როგორც გვაცნობებენ, ჩვენს ქუთათურს თეატრის მოყვარეთა ჩვეულებრივად კარგად და ცოცხლად უთამაშნიათ და დიდ ძალი ხალხი, რომელიც ამ წარმოდგენას დასწრებია, ძალიან კმაყოფილი დარჩენილა.

□ თფილისში ჯერ კიდევ მშვენიერი ტაროსია. მზიანი, თბილი და წყნარი, მხოლოთ ხანდისხან ღამღამე ცოტათი ყინავს. ნახევარი ზამთარი ისე გავიდა, რომ თოვლი ორჯერ არ მოსულა. თუ მართალია ხალხის ნათქვამი, რომ კარგმა ზამთარმა ცუდი გაზაფხული იცისო, წელს ნამუშევრისათვის ხვირიან ტაროსს არ უნდა მოველოდეთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

შობა-ახალწელიწადი სვანეთში.

შობის წინა დღეს მთელ სვანეთში თითქმის დილიდამ საღამომდი არავის სჭამენ, არამც თუ დიდები, არც პატარაები. მთელი დღე მზადებაში არიან, მაგიერათ საღამოს კორკოტს მიაძღებიან. ქორკოტი, როგორც საქართველოში და იმერეთში, აქაც იციან.

შობა დღეს, როგორც მამალი იყიელებს, მცხობელი დედა-კაცი ადგება და ყველიან პურებს გამოაცხობს. როცა ის ცხობას გაათავებს და მზათ ექნება ცხელ-ცხელი ყველიანი პურები, ერთი ყმაწვილი, ათი-თორმეტი წლისა, ადგება საწოლიდამ, შიშველ-ტიტველი გავა კარში, დაადგება მარჯვენიე მხრით თავის სახლს და შემოუვლის სამჯერ. იმას ამ დროს სრულებით არა აცვიაო: სულ შიშველ-ტიტველი არის ამ უშველებელ ნანქერიან თოვლში, და იძახის: „ნიშგეი ქვითი ჰარინკიარი, ნიშგეი ქვითი ჰარინკიარი“—ესე იგი: როგორც ეხლა მე შიშველი და ცარიელი ვარ, ეგრე ცარიელი გაუშვი ღმერთო ჩვენგან ჩვენი ქურდიო.

მემრე საწყალი გაყინული შემოვა სახლში და ცხელ ყველიან პურს მიაძღება. შემდეგ ადგება უფროსი კაცი სახლში, მიეა სახლის სარკმელთან და დაიძახებს: „ხილარ ამზაე ხვაი ახშენდ“. (ხილებო, წრეულს ბევრი მოისხით). სასადილოთ წამოაქცევენ რაიმე საქონელს, ან ხარს ან ძროხას და ნამარხულევს ამოიყრიან ჯვარსა.

ამ დღეს ბევრს ადგილას აღაპებიც იციან და ვინ იცის, რამოდენი ჩხუბი და უბედურობა მოხდება ხოლმე! შობა დღეს ამის მეტი არა არის რა შესანიშნავი.

ეხლა ორიოდე სიტყვა ესთქვათ ახალწელიწადზე და ნათლის ღებაზე.

ამ ორ უკანასკნელ დღესასწაულს უფრო ბევრი ცერემონიები მოჰყვება, ვინემ შობას.

ახალ წლის წინა ღამეს სვანეთში სულ საღამოდგან დაწყებული შუაღამემდი აცხობენ ბევრს პატარა ყველიან პურებს, ამასთანავე ერთს დიდს გამოაცხობენ, რომელსაც შუაზე ჯვარი ექნება გამოსახული. მოამარაგებენ თაფლ', ყველს, ხორცს და სხვას; გიდელაში ჩააწყობენ და კარებთან დაჰკიდებენ, რომ მაკელიელს მზათ დახვდეს. როგორც ირაჟრაჟებს უმფროსი კაცი ოჯახში ადგება და ცეცხლს დაამთებს, რომელიც სულის შეუბერავათ უნდა დაანთოს, ამიტომ ის ბევრ წვალებაში არის და ბოლოს კალთის ქნევით ცეცხლს დაანთებს. ის კაცი გააღვიძებს მწყაზარ დედა-კაცს, დედა-კაცი გააღვიძებს ერთ ყმაწვილს. ესენი უნდა იყვნენ ყველაზე უფრო კეთილი ხასიათისანი ოჯახში. მამა-კაცი კიდევ ახსნის ხარს, რომელიც ყველაზე უფრო დიდი-ტანისა არის საქონელში, მოაბამს ბაწარს რქებში და გაუძღვება ხარს წინ, ბაღში ხარს მისდევს, დედა-კაცს ხორაგიანი ციდელა ჰკიდია ზურგზე.

სანამ სახლში არ დაბრუნდნენ, ამათ ხმა არ უნდა ამოიღონ, ე. ი. არ უნ. და დაელაპარაკონ ერთმანეთს. მიელენ წყალზე და ხარს წყალს ასმევენ, დაბრუნდებიან სახლში, მიელენ კალოზე და თოვლის ზვინს დაადგამენ, შუაზე ნაძვის ხესჩაურჭობენ, შემოუველიან ამას გარშემო და შეველენ სახლში. სანამ მაკელიელები მობრუნდებიან, სახლში ყველანი ადგებიან. როცა მაკელიელები კარებს მიადგებიან, წინამძღოლი კაცი იძახის: „ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ“. (კარი გააღეთ). „ღერთემიში იხელწიფი ჭორ ამღვე, ყორ მუკიარ“. (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს კარი გააღეთ). შედის სახლში, სამჯერ კერას შემოუველის, ეხვეწებიან ყველანი ღმერთს, განსაკუთრებით მაკელიელი კაცი, რომელიც ხარს მიუძღვება. შემდეგ ყველა დაჯდება თავის საჯდომზე. მაკელიელი კაცი აიღებს ხელში დიდ ჯვარიან ბედის პურს, დაწყობს მაზედ ყველს, ხორცს, თაფლს, პურს და ვერცხლის ფულს, დაჭყვება თავიდამ და ყველას მიუღოცავს.

პირველათ ვინც უფროსია, იმასთან მიეა, მოაკიდებინებს მაზედ ხელს და ატრიალებენ მარჯვნივე, მაკელიელი ეუბნება: „ღმერთმა მრავალს წელიწადს მოგასწროს, ცოლშვილი გიცოცხლოს, გაგამრავლოს, მტერს გაშოროს და სხვა. შემდეგ დაჰკვნიებს დიდ-პურზე, რაც იმ პურზე ეწყოთ ყველას ხელში ჩაუყრის. ძიდევ დააწყობს იმოდენს მაზედ და სხვას მიუღოცავს. ამნაირათ ყველას.

ამ დღეს ყველამ უნდა დაიაროს მთელი სოფელი და მიაღოცვინოს ყველას.

ახალ-წელიწადს არ შეიძლება სვანმა უარი რამეზედ გამოაცხადოს, რაც უნდა სთხოვო, ამიტომ როდესაც ვინმე მიუვა, წინდა აჩუქებს რამეს სანამ ის რაიმეს სთხოვს. თუ უარი უთხარი ვისმეს, ის დამწყეველისო და მთელ წელიწადს დაწყეველილი ვიქნებიო, იტყვიან.

ამ დღეს ან მეორე დღეს ვინც მონადირეა, ნიშანს დაიდგამს და თუ კარგა ამოიღო ნიშანში, მთელს წელიწადს დაბედნიერებული იქნება თოფის სროლაში და ბევრს ინადირებს, და თუ ნიშანს დააცილა, შენი მტერია, იმას გულს შემოეყრება, ხომ მთელი წლის განმავალობაში ვერას მოეკლავო. ეს არის მისი წინასწარმეტყველო... როგორც კაცს, საქონელსაც ამ დღეს მიულოცავენ ახალ წელიწადს: ბევრს თივას აჭმევენ და როცა დაუყრიან თივას, იმათაც ლოცავენ.

ბათავდა ახალწელიწადი და ჩვენი სვანები ნათლის ღებას ელიან.

ლ. დადუანი.

(ბაგრძელება იქნება).

რუსეთი

ერთს რუსის ახალგაზდა მწერალს, უფ. ჰარნეევს, ამ წლიდამ ისეთი საბალხო წიგნების გამოცემა განუზრახავს, რომელიც განსაკუთრებით საქალებო სკოლებში იქნება გამოსადეგიო. ამ შრომაში იმას, როგორც ამბობენ, ზოგი სხვა რუსის მწერლები და სწავლულებიც დახმარებას დაჰპირებიან.

კასსაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, ახალი წესდებულება ადვოკატების თაობაზე, სისხლის სამართლის საქმეებს არ შეეხებაო, ე. ი. სისხლის სამართლის საქმეების დამერლები, მომავლისთვის ბევრს რამეს გვპირდებიან და ალარც საეჭვოა.

×

ბურულები ბევრით ემსგავსებიან ამ ორ ვეარს, მაგრამ მათსავით ხანგრძლივი და ფეხ-დადგმული ვერ არიან.

ვერც შრომას აიტანებენ ბევრსა; ისინი ყოველთვის და ყოველგან ჰფეთქენ თოფის წამალიეით. მოძრაობაში, სიტყვა-პასუხში თუ საქმეში ყველგან მოსწრებულნი არიან.

×

ლხინში ღმერთმა მოგცესთ, მაგრამ ჭირში კი რა მოგახსენოთ. ერთის სიტყვით, იმ საქმეში, რომელიც კი დიდს-დროს არ თხოულობს, გურული დაუფასებელია და მის მაგიერობას ვერავინ იზავს. ვაგლახათ ნუ შეეხები მის თავის-მოყვარეობას! ის დროთა ვითარებამ „გააკუჭიანა“, მაგრამ ვერ გატეხა. ის გრძნობს, რომ კაცია დასაფასებელი და თუ შეუხვდა, დროზედ „თავი კიტრად მიაჩნია“ როგორც სხვისა ისე თავისი. ის არის ლხინის შვილი და ჭირშიაც სიცილით მოგეხმარება იმ ერთის იერიშზედ და მერე თუ იმ ერთის იერიშით ვერა გაარიგარა, მეორეთ იქ ალარ „გიყუნცულებს, დასტრაკავს და ქვეწავა მისდა შინისკენ!“

მამულისათვის კი ლხინისათვის გამოადგებიან საქართველოს.

აფხაზებზედ იმასვე ვფიქრობთ, რასაც მეგრელებზედ. სვანები კი სულაც არ მოგვყავს ანგარიშში.

×

აი, ამგვარად დღეს თვალს ვაევლებთ ჩვენის სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეების ხალხს და მართლა სასიამოს აწმყოსში ვერასა ვხედავთ, რადგანაც ისტორიულმა მიზეზება მავნებელად იმოქმედეს იმათზე მაგრამ მომავლისთვის კი ბევრს გვიშადებენ და მაშინ ვნახავთ თუ რაც იქნებიან... და აწ ჩვენ კი ის გავიხსენოთ როგორები იყვნენ დღეს აქ მოყვანილი ტომები ძველს დროს, მაგალითად მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფის დროს?

×

ამისათვის ჩვენ ავიღოთ უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“, გავარჩიოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისის კუთხეებით და მცხოვრებლებით, ისე გამოხატულს, როგორც სარკეში ჩასახულს რამეს....

აკაკი

—

ცვა სასამართლოებში ისეთს ადვოკატებსაც შეუძლიანთ, რომელთაც მოწმობა არა აქვთ.

★ წარსულ დეკემბერს 22-ს პარიზში ყოფილა სხდომა იქაურ „კეთილის მყოფელი სლავიანური კომიტეტისა“ და ამ სხდომაზე წლიური ანგარიში წაუკითხავთ; ანგარიშიდამ სჩანს, რომ შარშანდელი წლის განმავლობაში კომიტეტს 1252 მანეთი შემოსვლია ზოგი თავის წევრების საწილო ფულისაგან და ზოგი გარეშე პირებისაგან შემოწირული. დახარჯულა 2,423 მანეთი, რომლისაგან 600 მანეთი სლავიანული სტუდენტების სტიპენდიისათვის, 600 მან. სლავიანებისათვის მუქთად წიგნების გაგზავნაში, 400 მანეთი ერთი სლავიანური გაზეთის რედაქტორისთვის მიუციათ სუბსიდიათ.

★ გაზეთში „ძიების ტელეგრაფ.“ დაბეჭდილია სტატია, რომლის ავტორი ამტკიცებს: ძალიან კარგი იქნებაო, რომ იმ ფულების განაწილებაში და დარიგებაში, რომელსაც ჩვენში საზოგადოება ღარიბი სტუდენტებისათვის აგროვებს, თვითონ სტუდენტებიც მიიღებდნენ მონაწილეობასაო, რადგან თავიანთი ამხანაგობის გაჭირება და საზოგადოთ ყოველგვარი მდგომარეობა იმათ უკეთ იციან, ვიდრე გარეშე პირებმაო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. თფილისში მოვიდა 11 იანვარს ვერსალიდამ გამოგზავნილი დეპეშა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ამ დღეს ნაციონალურ კრებაში კონსტიტუციურ კანონებზე დაუწყიათ მოლაპარაკება. უველაზე პირველად რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლების გადაცემაზე ყოფილა სჯა. ოცი უკიდურესი მხარეები კრებისა ამ მუხლის წინააღმდეგნი ყოფილან, მარცხენა მხარე იმიტომ, რომ ამ კანონის დადგენით საფრანგეთში სამუდამო რესპუბლიკური მმართებლობის დაწესება გვიანდებაო, და მარჯვენა მხარე კი იმიტომ, რომ ეს კანონი მონარხიის დაფუძნებას დაგვიშლისო. ტელეგრამმა არ გვატყობინებს, რითი გათავდა ეს მოლაპარაკება. მაგრამ ვინც კი იცნობს ეხლანდელ საფრანგეთის წარმომადგენლების პალატას, ადვილათ მიხვდება, რომ იმას არაფრის დადგენა მკვიდრათ არ შეუძლიან, რადგან არც ერთ პარტიას არა აქვს იმდენი ხმის უმეტესობა, რომ რომელსამე კითხვაში თავის მოწინააღმდეგეს აჯობოს. ხალხი კი დიდი ხანია თხოლობს, ახალი კრება გვეჭირვება, რომ ამ ჩვენ უბედურ საფრანგეთში რამე საფუძვლიანათ გარიგდესო.

ესპანია. ახალი აღთქმულობის შემდეგ, არჩეული ესპანიის კოროლი დონ-ალფონსი მადრიდში მისულა და, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, მცხოვრებლებს დიდის აღტაცებით მიუღიათ, სახლები გაჩაღებული ყოფილა და ხალხი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს კოროლს დონ-ალფონსაო“! იმ დღესვე დონ-ალფონს ყველაზე პირველად ჯარი გაუშინჯავს. ვნახოთ, დიდ ხანს გასძლებს ეს აღტაცება თუ არა. ვნახოთ, დიდ ხანს გასძლებს ესპანიის მონარხია და იმის კოროლი თუ არა?

ქრონიკა

სტატია VII

სარგის ჯაყელი

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკედილი სახელოვანი.

—

მართალია, მეფე დავით სოსლანი არ იყო ძალიან ჭკუიანი და პოლიტიკის კაცი, მაგრამ თავისი სამეფოს სარგებლობა ესმოდა.

მონგოლებმა საქართველოში ხალხის აღწერის შემდეგ ხოჯა-აზიზი ხარჯის მოკრეფათ დააყენეს. ამან თავის უსამართლობით შეაწუხა ხალხი და ეს მეფეს ძლიერ ეწყინა. ამისთვის უსამართლო ხოჯა-აზიზს, როგორც წინა სტატიაში ესთქვით, კიდევაც მოსჭრა თავი და თფილისის ქალაქში ძელზე ჩამოჰკიდა, რადგან ასეთი იყო უწინდელ დროში ჩვეულება.

ეს უველაფერი მოახდინა სარგის ჯაყელის შემწეობით და ჩაგონებით. ეს კაცი იყო სამცხეს სპასალარი და ბატონი. თავის წადილის აღსრულების შემდეგ დავით სოსლანი გულათან უნდა წასულიყო. მაგრამ ამ დროს გულაგუსაგან მოუვიდა ელჩი და უთხრა:

„მეფეს მოვინდომბ, ხოლო ჰპპა სარგისს არა მოვინდომბ.

სარგისს ეს ამბავი ძალიან ეწყინა; ეწყინა აგრეთვე მეფესაც; მაგრამ რადგან შემწეობა არ შეეძლო, ამისთვის „ეტყობა მეფე გარე უკუნქცევასა“; მამულისათვის თავდადებულმა სარგის ჯაყელმა უთხრა:

„ნუ იყოფინ ქმნად ეგე ჩემდა, რათამცა მე შევიქცე შინა: უკეთუ ცოდვათა ჩემთაგან გვენოს რაჲმე თათართაგან, ყოველნი კაცნი იტყვიან, განზრახვითა სარგისისით გუნავდა მეფე თათართა, აწ იგი წარვიდა შინა, მეფე წარაველინა მოკვლად ყაენის წინაშე: ნუ ჰყოს ეგე ღმერთმან, რამეთუ ამით წახდების გვარი ჩემი: არამედ მოთუმკლან, ნაცვლად თქვენდა ვიყო, და თუ დავრჩე, თქვენთანა დავრჩე.“

ამ გვარი თავ განწირულება და პატიოსნება მეფეს ძლიერ მოეწონა და აჩუქა ჯაყელს ძოხბულეთი და მთელი ტბეთის ეპარხია და მერმე ორნივე წაიდნენ ბარდაეში, რომელიც ახლა ყარაბაღად იწოდება. აქ იმყოფებოდა ხოლმე ზაფხულში ბუღაგუ ყაენი.

მეფე დავითი და სარგისი, ურდოში მისვლის შემდეგ, შეიდნენ ყაენთან. ბუღაგუმ, წესისამებრ, მეფეს მისცა ოქროს სტაქანით ღვინო, და მეფე რომ დაჯდა მუხლ-მოყრილი და თან უველა მთავრებიც, მაშინ ყაენმა ჰკითხა:

რად ჰქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებასა ჩემსა ურჩ ექმენ.“

მეფე შეშინდა, არ იცოდა რა ეთქვა და მოიხედა უკან სარგის ჯაყელისაკენ. სარგისი, ბრღვინვისა ლომისა მსგავსად, არა შეშინდა, არამედ უშიშრად აღდგა და წარსდგა ყაენს წინ და უთხრა,“ მე ვარ დიდო ყაენო, რომელი შემოვები არღუნს.“ —ჰოო! პაპა სარგის შენა ხარ?! ჰკითხა კვლავ ყაენმა. — „იგი ვარ“, ვაჟკაცურად უპასუხა იმან. — რათ შემოები არღუნსო, ჰკითხა კვალად ყაენმა. რადგან სარგისმა მონგოლური ენა არ იცოდა, ამისათვის მოიწვიეს მოენეთ სადუნი მარკაბერდელი. ეს კაცი ქართველი იყო და ძლიერ კარგათ იცოდა მონგოლური ენა. ამისთვის ის ბუღაგუს ძლიერ უყვარდა და დიდად პატივსა სცემდა, „რამეთუ იყო კაცი იგი გონიერი, ენა კეთილი და სიტყვითა მარჯვე“.

როცა ამ კაცმა სარგისს შეატყობინა ბუღაგუს კითხვა, იმან ვაჟკაცურად უთხრა: სპარსელები და ჩვენ ქართველნი ძეელადგანვე ერთმანეთის მტერნი ვართ; არღუნმა რომ ხალხის აღწერილობა მოახდინა, მერმე ჩვენზე ხალხის მკრებელად ხოჯა-აზიზი დააყენა: ეს კაცი სპარსი იყო და ჩვენი მტერი; ამან ქრთამით შეჰკრა თქვენი კარი და მოჩიეარს არ უშვებდა თქვენამდი. ამან მეფეც და ჩვენ ქართველებიც ძლიერ შეგვაწუხა. აწ ყაენო, მეფე უბრალო არს, მე ვარ, რომელმან განვაყენე მეფე მოსრჩილებისაგან თქვენისა. ბუღაგუ ყაენი დიდის სიამოვნებით ყურს უგდებდა სარგის ვაჟკაცურს, კვირცხლს და გაბედობითი ლაპარაკს. საუბარი დიდ ხანს გაგრძელდა. მეფეც მრავალს რასმეს ამბობდა. ქრისტიანი მნუჩ-არქუნი, რომელიც მონგოლების ღენერალი და ქართველების მომხრე იყო, იდგა შუაში და მანკაბერდელი კარგათ თარგმნიდა და კაზმვედა სარგისის ნათქვამს აზრებსა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უეცრად დარუბანდის გზის მცველი კაცი შემოვიდა და უთხრა ყაენს, რომ მურანის ყაენი ბერქა დიდის ჯარებით მოდის საომრათო. ბუღაგუ მაშინვე ამხედრდა და თან წაიყვანა მეფე დავით უველას ასე ეგონა რომ მეფეს მოჰკლავდა; სოსლანი და სარგის ჯაყელიცა. სარგისმა ყაენს თავისი ვაჟკაცობა და სიმარდე გზაზედვე აჩვენა. როცა რაზმები დააწყვეს, უეცრად შეელმა იმათ შუაში გაურბინათ. სარგისმა ის მოჰკლა. ამის შემდეგ ისრით მელა და ყურდღელი მოჰკლა. ამით სარგისმა ძლიერ შეაყვარა ბუღაგუს თავი. მერმე დაიწყო ომი.

ბერქას ჯარიდამ გამოვიდა ერთი უშველებელი კაცი და მიჰვარდა მეფე დავითს; მაგრამ მეფემ სტყორცნა იმის ცხენს მკერდში ისარი და ძირს დასცა. ქართველებმა შეჰქმნეს სიცილი და მხიარულება. ომი გაძლიერდა. ქართველები კანჯარისა და ქურწიკისავით დახტოდნენ ომში. ბერქა დაამარცხეს და გააქციეს იმისი ჯარი. ამ დროს ბუღაგუ ყაენი ოთხის კაცით ერთს ბორცვზე იდგა. ქართველები და მონგოლები ხოცვით მისდევდნენ ბერქას ჯარებს. მაშინ ბერქას ჯარიდგან შეიდმა კარგმა გამორჩეულმა მხედარმა მიჰმართეს ბუღაგუს. სარგისმა რომ დაინახა ესენი, სამის ქართველით გადუხტა წინ, ოთხი იმათგანი მოჰკლა და სამი კი გაექცა. ეს უველაფერი ბუღაგუმ თავის თვალით ნახა. ქართველები სამი დღის განმავლობაში უკან მისდევდნენ გაქცეულს ბერქას ჯარებს და ხოცდნენ.

მერმე უკან დაბრუნდნენ და მოვიდნენ ბარდაეს-ყარაბაღში. ამისათვის ბუღაგუმ ქართველებს დიდი პატივი — სცა და სარგის ჯაყელს მისცა არნუქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყნები. ეს წყალობა სხვა თავადიშვილებს ეწყინათ და უთხრეს მეფეს: „აწ მეფობაცა სარგის მიეც, ყაინმან ეზომ განადიდა, რომელ არღარა იქმნების მორჩილი მეფობისა თქვენისა.“

მალე მორწმუნე მეფემ დაიჯერა და არ მიაცემინა ქარნუ ქალაქი. სარგისმა ეს შეიტყო და ძლიერ ეწყინა. ამის შემდეგ ის გახდა მეფისაგან გულ-ნაკლი; მაგრამ თუმცა სარგისი საქართველოს ზარალს არ აძლევდა, რადგან ჭკუიანი კაცი იყო და იცოდა ერთობის სარგებლობა, მეფესთან დაახლოებული თავადიშვილები მაინც არ ასვენებდნენ იმას და მეფეს მუდამ ეუბნებოდნენ, რომ სარგისი ცუდი და ქვეყნის მოღალატე კაცი არისო. უჭკუო მეფეც უჯერებდა და მუდამ იმის მტრობაში იყო.

ერთხელ სარგისი ჩამოვიდა თბილისის ქალაქში. „უკეთური კაცების განზრახვით დავითმა სარგის ყაინის ორგულება შესწამა, შეიპყრა და საჭურჭლეში დაამწყვდია. სარგისის მხლებელი აზნაურები მაშინვე გაიქცნენ ბუღაგუ ყაინთან და სთხოვეს შემწეობა. ყაინმა გამოგზავნა ელჩი თფილისში: სარგისი გაანთავისუფლეს და მიიყვანეს აბაღასთან. სიმართლე ჯაყელისა დამტკიცდა; მაგრამ იმან ალარ ისურვა მეფისათვის მორჩილება, რადგან ეშინოდა მოკვლისა, „მიერიდგანო, ამბობს „ქართლის ცხოვრება“ 401 გვერდზე, იქმნენ ჯაყელნი მორჩილნი უდღისანი ვიდრე, ჟამადმდე ბრწყინვალე მეფე ბიორგისა.“

ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგო ცალკე სამთავროს შეადგენდა და ალარ ემორჩილებოდა საქართველოს მეფეებს.

სარგისის განდგომა შეიქმნა საქართველოს დამხობის მიზეზად. ამის მიხედვით შემდეგში იმერეთშიაც ოთხი სამთავრო შესდგა. უველა ამაში, ჩემის აზრით, ბრალი ედება დავით სოსლანს და ლუკუწკუწა კარის კაცებს. დავითმა არ იცოდა კაცის ღირსების დაფასება. ქარგი ჭკუიანი და ქვეყნის სასარგებლო კაცები ეჯავრებოდა. იმან სხვათა სიტყვით, საჩინო ჭკუის და სამეფო ნიჭის კაცი ჯიქური მტკვარში ჩააბრჩო, ქახეთის ახლანდელი გალმა მხრის და ინგილოების მთავარი თორღუა ღალატობით მოჰკლა, მამაცი შგარსლანი სამსახურიდგან გააგდო და ნიჭიერი კაცები უველანი შეიძულა. სომხითის ამირ-სპასალარი ზაქარია, კაცი ყოველითა სათნოებითა სრული და

სჩინო" მონგოლებს მოაკვლევინა, და ასრე შექმნა საქართველოს დაღუპვის პირველ მიზეზად:

მთავრები ყველანი შეშინდნენ და თავს აღარ უდებდნენ იმის ბრძანებას. ყველამ თავ-თავისთვის დაიწყეს მოქმედება, მოისპო ერთობა და ბოლოს საქართველო სრულიად დაიღუპა ამის მიერ ჩათესლილი ღვარძლისაგან.

ასრეთი შედეგი ჰქონდა საქართველოსთვის მონგოლების შემოსვლას კავკაზეთში.

ინგილო ჯანაშვილი.

საბაასო

„ტფილისის მოამბის" მეხუთე ნომერში დაბეჭდილია ბასტამოვის ქალის წერილი, რომელშიაც ზოგიერთ მართლა გონიერ და ლამაზ აზრებს შორის, შესახებ სახალხო შკოლების სახელმძღვანელოებისა, „დროებას" აყვედრის, ვითომ ერთ-ორი სახელმძღვანელოების დაწერისაგან მომეტებულს აღტაცებაში მოდისო და ამბობსო, რომ ჩვენს შკოლას დღეის შემდეგ სახელმძღვანელოების უქონლობაზე ჩივილი აღარ შეუძლიანო. ავტორს უკვირს ამ გვარი „ოპტიმიზმი" იმ სტატიის ავტორისა, რომელიც შარშანდელი „დროების" მე-454 №-ში იყო დაბეჭდილი.

მოგვყავს ის ადგილი ხსენებული სტატიიდამ და იმედია მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენს აღტაცებას და ოპტიმიზმს (თუ კი არის ამ გვარი გრძნობები) საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა:

„ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი წლისა და ნახევარის განმავალობაში კამისიას ექვსი სახალხო სახელმძღვანელო ჰქონდა ხელში გადასახედავად. ამათში მეტი თუ არა, უეჭველია, ორი ან სამი მაინც გამოდგება და პრემიისა და გამოცემის ღირსი შეიქნება.

„თუ შემდეგშიაც ამნაირადვე წავიდა ეს საქმე, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ორი-სამი, ბევრი ოთხი წლის განმავალობაში ჩვენს სახალხო შკოლებს ყველა საჭირო სახელმძღვანელოები ექნება.

„მაშინ იმ პირთა, რომელნიც მიზეზს პოულობენ და ამბობენ, რომ ქართულს ენაზე სწავლა არ შეიძლებაო, რადგან ამ ენაზე სახალხო შკოლებისათვის სახელმძღვანელოები არ არისო, მაშინ იმ პირთა ამის თქმის უფლება აღარ ექნებათ..."

მეგონია, გვქონდა ცოტა უფლება, რომ ამ საგანზე სიამოვნებით და აღტაცებით გველაპარაკნა?

რაიცა შეეხება იმ სიტყვებს, რომელიც ზევით არის მოხსენებული— „რომ იმ პირთა, რომელნიც ამბობენ, რომ ქართულს ენაზე სწავლა არ შეიძლება, რადგან ამ ანაზე სახელმძღვანელოები არ არისო, მაშინ ამ პირთა ამის თქმის უფლება აღარ ექნებათო" — უჩვენოთაც ცხადათ გასაგებია და განმარტება არ სჭირია იმის მისახვედრათ თუ ვისთვის არის ეს სიტყვები ნათქვამი....

ნარევი

საფრანგეთის მმართებლობამ კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც ყველა სამხედრო ჯვრიან და მედლიან კაცებს, ვისაც კი ლოთობას შეამჩნევენ, ჯვარსა და მედალს ჩამოხდიან. სიმთვრალე ამცირებს ჯვრისა და მედლის ღირსებასაო.

* * *

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იაპონური გაზეთიდამ შემდეგი არაკია გადმობეჭდილი:

„ჩვენი კეთილშობილები, მუშაობისა და სამშობლოს სამსახურის მაგივრად, ცუდ-უბრალოთ ატარებენ დროებას და მუდამ მდაბიო ხალხის შრომით განცხრომაში სცხოვრებენ. ერთს მაგალითს წარუდგენთ ამ კეთილშობილებს, რომლითაც ურიგო არ იქნება ისარგებლონ:

ერთს მცხოვრებელს კატა ჰყავდა, რომელიც ისეთი ზარმაცი იყო, რომ თაგვების დაჭერაც კი ეზარებოდა. ერთხელ პატრონმა ამ საგანზე უსაყვედურა თავის კატას. იმ ღამეს ორი მეზობლის კატა შემოვიდა ამ კაცის სახლში და რაც თაგვები და ვირთაგვები იყო, სულ გააწყვეს, ასე რომ მერე ამ სახლში ერთს თაგვსაც ვერ ნახავდით. მაგრამ ამასთანავე შინაური კატაც გაჰქრა სადღაც. უეჭველია, იმან გაიგო თავის პატრონის საყვედური, მოიწვია მეზობლის კატები სანადიროთ და თვითონ კი წავიდა, შერცხვა, რომ ასე მუქთად სჭამდა პურს.

„თვით ცხოველებს აქვსთ სირცხვილი! თქვენ, ჩვენო კეთილშობილნო"?

* * *

ამ მოკლე ხანში ერთი ტიერის დროინდელი ნამინისტრალი-შობერი გარდაიცვალა. ფრანცუზულ გაზეთებში იმის ბიოგრაფიაა დაბეჭდილი, რომლიდამაც სჩანს, რომ ეს შობერი ძალიან მახვილი და მოლაპარაკე კაცი ყოფილა. ლუი-ფილიპეს დროს, ის იყო ხალხის წარმომადგენელი და პალატაში ხშირად ჰკიცხავდა და დასცინოდა მინისტრს სულტს, რომელსაც ამის გამო საშინლად სძულდა.

ერთხელ ეს ორივე კაცი ლუი-ფილიპეს სასახლეში შეხვდნენ ერთმანეთს. შობერი მივიდა მარშალ სულტთან და როცა მისალმებას და თავის დაკვრას ემზადებოდა. სულტმა უეცრად ზურგი მიუშვირა. ამ შემთხვევას ორმოცი მეტი კარის კაცები დაესწრო. შობერს არ შერცხვა.

— უფ. მარშალო, უთხრა იმან სულტს, მე მითხრეს, რომ თქვენ ჩემი მტერი ხართ! მაგრამ ახლა კი სიამოვნებით ვხედავ, რომ ეს ტყუილი ყოფილა...

— როგორ?

— ეს ცხადია... თქვენ არა გაქვსთ ჩვეულება, რომ მტერს ზურგი მიუშვიროთ!...

სავაჭრო

იანვრის 13-ს კავკასიის იქეთა მხრის პრიკაზში გაისყიდება ზემო-ავჭალაში მდებარე ვენახი ქვრივის ეკატერინა დარჩინოვისა, იმ ვალში, რომელიც 1862 წელს აულია (2000 მანეთი) პრიკაზიდამ. სამი დღის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იქნება.

3 (3) 15.

ბაქოს პორტის კამანდირი გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ შეშის დადგმა 1875 წლისათვის 379 საჟენი მუხის ხისა, რომლიდამაც 229 საჟენი ბაქოს პორტში ბაილოვში და 150 საჟენი კრასნოვოდსკში; ამას გარდა 2100 საჟენი რთხმელის ხის შეშა უნდა დაიდგას აგრეთვე ბაქოს პორტში. ვაჭრობა დანიშნულია ბაქოში 21 იანვარს და 25-ს ხელმეორეთ ვაჭრობა იქნება. უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა ბაქოს პორტის სამმართველოში შეიძლება.

3 (3) 16

ანგარიში

ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1874 წლისა

დამტკიცებული საზოგადო შეკრებილებისაგან 29 დეკემბერს, 1874 წ. წევრათ ირიცხება ამხანაგობაში 288 კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . 1582 მ. 60 კ.
2.) სარგებელი [illegible] ხების დროს . . 403 მ. 20 კ.
3.) სესხები დაბრუნდა ახალი ვადა მიუცემელი . . . 2025 მ. „
4.) სასარგებლოდ შემოტანილია კერძო პირისაგან . . . . 40 მ. „
5.) ამხანაგობამ აიღო ვალად დამფუძნებელთაგან. . . 1500 მ. „
6.) ამხანაგობამ აიღო ვალად ტფილისის საზოგადოებისაგან საურთიერთო ნდობისა და კერძო პირთაგან . . 2110 მ. „
7.) სარგებელი მიღებული ტფილისის საეჭრო ბანკიდამ. . 14 მ. 72 კ.

სულ შემოსულა. . 7675 მ. 52 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . 6710 მ.
2.) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ შემოტანილის ნასესხისა . . 4 მ.
3.) სარგებელი მიცემული: სესხებზედ და სასარგებლოდ შემოტანილ ფულზედ. . . . . 48 მ. 8 1/2 კ.
4.) შეტანილია ტფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა . . 150 მ.
5.) ტფილისის საზოგადოებამ საურთიერთო ნდობისა გამოგვირიცხა წესდების თანახმად . . . . 5 მ. 30 კ.
6.) სამმართველოს ხარჯი. 335 მ. 50 კ.

სულ გასულა . 7257 მ. 88 1/2 კ.

გ.) კასსა

1.) ნაღდი ფული არის კასსაში . . . 422 მ. 63 1/2 კ.

კასსის ჯამი . . 422 მ. 63 1/2 კ.
გასული არის. . 7252 მ. 88 1/2 კ.

საფუძველსა ზედა § 52 წმინდა მოგება განაწილებულია:

1.) სათადარიგო თანხაში. . 3 მ. 3 კ.
2.) მოგებათ წილებზედ . . 27 მ. 30 1/2

ჯამი. . 30 მ. 33 1/2 კ.

1 იანვარს 1875 წლისა არის:

1.) საწილო ფული . 1582 მ. 60"
2.) სასარგებლოდ შემოტანილი. . 40 მ.
3.) სესხები:
ა.) პირველ დაწყებითი. . 1500 მ.
ბ.) შემდგომ აღებული. . 2110 მ.
4.) სათადარიგო თანხა. . 3 მ. 3 კ.
5.) წმინდა მოგება. . 27 მ. 30

ჯამი . . 5262 მ. 43 კ.

გასესხებული ახალი ვადა მიუცემელი . . . . . . 4685 მ.
ტფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა . . 155 მ. 30 კ.
კასსაში არის ნაღდი ფული . . . . .. .392 მ. 30 კ.

ჯამი 5232 მ. 60 კ.

3 (3) 17 გამგენი { მ. ქადაგოვი, გ. ოსეფოვი

რკ. გზა.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ტფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილა .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
ტფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას—პარასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა ტფილისიდამ:	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	3	—
ოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	4	—

ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ. ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ: ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ.
ღია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

პეტერბურგი, 5 იანვარს.	მან.	კაპ.
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 33 1/2 პენსი.	—	84
პარიჟში 349 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	97	75
მოგებიანი (პირველი სესხი)	195	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	195	—
გირაოს ფურცლები:		
ტფილ. სააზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5 1/2)	84	50
მოსკოვის (5%). . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	242	—
ფოთი-ტფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

ტფილისი, 14 იანვარს.	მან.	კაპ.
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	—
— ამერიკისა, ფუთი. .	6	55
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	40
— თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	50
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	5	93

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Января 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.